ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 430

27 დეკემბერი
"---" -------- 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის №19.1238.1535 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი №4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ: 404535446) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2040 (ორი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**